სოფიო ქადაგიშვილი
თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
Sopio.kadagishvili@tsu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.60

შუა საუკუნეების ქართული იდენტობის ზოგიერთი საკითხისთვის

იდენტობათა შორის ერთ-ერთია ეთნიკური იდენტობა, რომელის შესწავლა ქართულ ისტორიულ გამოცდილებას განსხვავებული პერსპექტივით წარმოაჩენს. შუა საუკუნეების ქართული იდენტობის საკითხებზე დაკვირვება საკმაოდ კომპლექსურ კვლევას მოითხოვს, რომელიც მოიცავს ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრას, წყაროთა შერჩევას, ეთნიკურობის ფენომენზე არსებული თეორიული ლიტერატურის ცოდნას.

ქართულმა ერთობამ განვითარების მრავალსაუკუნოვანი პერიოდი განვლო. შუა საუკუნეების ქართული ეთნიკური იდენტობა არ არის დროში უცვლელი. ეთნიკურობაში ცვალებადობა და მუდმივობა სულაც არ არის ჩვენი გამონაგონი, არამედ ეს ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისია, რომელიც ითვალისწინებს ეთნიკურობის ბუნებას.[1] ერთი მხრივ, ეთნიკურობა მუდმივია იმ გაგებით, რომ მისთვის უწყვეტობაა დამახასიათებელი, მეორე მხრივ, ეთნიკურობა არ არის სტატიკური. მუდმივად ხდება ეთნიკურობის მახასიათებლების გადახედვა, განსხვავდება მახასიათებლების გამოვლენის დონე, ინტენსივობის ცვლა, რომელთა შორის განსხვავება ერთობის წევრთა თვითაღქამაა, აგრეთვე აღქმა გარედამკვირვებლის თვალით. ამგვარად გაგებული ქართული ერთობა ნაკლებად იყო შესწავლის საგანი წინა საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, რადგანაც ეთნიკური იდენტობა საბჭოთა კავშირში ესენციალისტურად, ანუ უცვლელ და თანდაყოლილ ფენომენად იყო გაგებული. თანამედროვე დაკვირვებებმა, ისტორიკოსებს მეტი საშუალება მისცა ჩაწვდომოდნენ იდენტობის საკითხებს. იქიდან გამომდინარე, რომ ეთნიკურობა აღქმადი მოცემულობაა, დაკვირვების ქვეშ მოექცა ერთობის სუბიექტივისტური აღქმები, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ერთობის ფორმას, შინაარს და ქმნის კიდეც ფასეულებათა სისტემას. ასეთი კულტურული ელემენტია ენა, რელიგია, საერთო წინაპრის მითი, ისტორიული მეხსიერება... მათზე დაკვირვება ცოცხლად წარმოჩენს ერთობის სოციალურ დინამიკას ჭრილში. განვითარების ეტაპებს, ეთნიკურობის მახასიათებლების ინტენსივობას და სიხშირეს.

დღესდღეობით, დასავლური სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება ეთნიკურობის რაობა. წლებია დაინტერესებული ვარ ეთნიკურობის ფენომენის კვლევით. აღნიშნულ ნაშრომში, ისე როგორც წინარე კვლევებში ეთნიკურობაზე მსჯელობის

[1] კულტურული განვითარების მიხედვით, ჰალდელმანმა გამოყო ეთნიკურობის ოთხი დონე: ეთნიკური კატეგორია, ეთნკური ქსელი, ეთნიკური ასოციასია, ეთნიკური ერთობა. სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ეთნიკურ ერთობას. იხ. (Hutchinson, Smith 1996: 6). განსხვავება ამ დონეებს შორის თვითაღქმაა და აგრეთვე აღქმა გარე დამკვირვებლის თვალით.

თეორიული ნაწილი სრულიად ეფუძნება უცხოელი თეორეტიკოსების ნააზრევს (ფ. ბართი, თ.ჰ. ერიქსენი, ე.დ სმითი, ჯ. ჰაჩინსონი, მ. ნეში, ე. ტონკინი, დ. ჰანდელმანი და ა.შ.), რასაც კრიტიკაც მოჰყოლია თანამედროვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ამას მარტივი ახსნა აქვს – ეთნიკურობის შესახებ მსჯელობას ქართულ სამეცნიერო სივრცეში თეორეტიზება არ მოჰყოლია, ამავე დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო, სოციალურ თეორიებს დიდი გამოხმაურება არ ჰქონია ქართულ სამეცნიერო წრეებში და შესაბამისად ეთნიკურობის შესწავლას ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია. ზოგადად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ეთნიკური ერთობა განიხილებოდა, როგორც საერთო წარმომავლობაზე აღმოცემებული ერთობა. მასში სისხლისმიერი მიკუთვნება სრულებით არ გამოირიცხება, თუმცა ეთნიკური ერთობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, როგორც კულტურული ერთობა. ამ ერთობის აღქმები დალექილია შუა საუკუნეების ტექსტებში, რომელიც დღეს დაკვირვების ობიექტია. ეთნიკურობის შესწავლის კუთხით, შესაძლოა სხვადასხვა ტიპის წყარო აგვეღო, თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღების ქვეშ მოექცა შუა საუკუნეებში შედგენილი თუ რედაქტირებული ჰაგიოგრაფიულ *ძეგლები*, *ქართლის ცხოვრების* ტექსტები. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ აღნიშნილი თხზულებები გაჯერებულია იდეოლოგიზებული ტექსტებით, ამასთან ერთად, იმ კულტურული ელემენტების დაფიქსირებით, რაც ანახლებდა ან/და აძლიერებდა ერთობის თვითაღქმას. მსჯელობები, რომელიც სტატიაშია მოცემული, ცხადია, ცალკეული ტექსტის ანალიზის შედეგებია, რაც ქართული ისტორიული გამოცდილების და აღქმების საერთო კონტექსტში თავსდება. შესაბამისად, სტატიაში, ძირითადად, არა ტექსტებიდან ამონარიდები, არამედ დასკვნებია წარმოდგენილი, რადგან ცალკეული ამონარიდები ვერ ასახავს შიდაშეჭიდულობის პროცესს.

რაც შეეხება საკვლევ პერიოდს, ყურადღების ქვეშ მოექცა XI-XVIII საუკუნეები. გარდა პოლიტიკური თვალსაზირით მნიშვნელოვანი მოვლენებისა, დიდი კულტურული და სოციალური ძვრები სწორედ ამ ორ პერიოდს უკავშირდება. წყაროებზე დაკვირვებისას სწორედ ეს პროცესები ჩანს. ქართული იდენტობის მკვლევრები (და არამარტო) იმასაც აღნიშნავენ, იმდენად არის გამოკვეთილი ქართული ეთნიკური ერთობისთვის დამახასიათებელი მარკერები[1] XI საუკუნეში, რომ ის უახლოვდება თანამედროვე ერის ნიშნებს.[2]

ეთნიკურ აღქმებზე დაკვირვების კუთხით ძალზედ საინტერესოა ეთნიკური ტერმინების (მაგ. ნათესავი, ერი) შინაარსობრივი გააზრება, რადგანაც ეთნოტერმინი სოციალური ბმების ამსახველია. შეიძლება ითქვას, რომ ეთნოტერმინების შინაარსის განვითარების დინამიკა ავთენტურ ინფორმაციას გვაძლევს ერთობის თვითაღმებზე დაკვირვებისას. ეთნოტერმინებზე მსჯელობას ქართულ სამეცნიერო სივრცეში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, რაც უდავოდ ანგარიშგასაწევია, თუმცა მაინც ეპიზოდური ხასიათი აქვს. ასეთ კვლევას თავისი სირთულეც აქვს. კერძოდ, ხშირად ტექსტებში ეთნოტერმინის შინაარსობრივი დატვირთვა ვერ დგინდება; თითოეული ეთნოტერმინი განსხვავებული შინაარსით გვხვდება ერთი და იმავე ტექსტში. ეთნიკური ტერმინების შინაარსობრივი

[1] მარკერებში მახასიათებლებს ვგულისხმობთ.

[2] ასეთი ტიპის ერთობისთვის, სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს პრემოდერნული ერიც ცნება. ეს ისეთი ერთობაა, რომელიც ატარებს თანამედროვე ერისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ახალ პერიოდამდე. ამ საკითხისთვის იხ. (სმითი 2000: 155; სმითი 2004; ჩხარტიშვილი 2020: 192; ჩხარტიშვილი 2021: 165-176)

ცვლილების დინამიკაზე დაკვირვება მხოლოდ ტექსტების სისტემური შესწავლის და ტერმინების კონკრეტული შინაარსის ინტენსივობის დაფიქსირების გზით არის შესაძლებელი. ტერმინების შინაარსობრივი ცვლილება ერთობის შიდაშეჭიდულობის ეტაპებს წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ საისტორიო ტექსტებში ეთნოტერმინებს სხვადასხვა ვარიაციებით ვხვდებით, შესაძლებელია ძირითადი ხაზის დაჭერა. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში ქართული ერთობა თვითიდენტიფიცირებას ახდენდა, როგორც საერთო წარმომავლობაზე დაფუძნებული ერთობა, რაც ტექსტებში ფორმულირდება, როგორც *ნათესავით ქართველი.* მაგ.: „იყო ნეტარი ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონ ნათესავით ქართველი“ (აბულაძე 1967:10). წყაროებში უფრო მრავალფეროვანია *ერის* მნიშვნელობა, რომელიც ზოგადად კრებულის გამომხატველია ვიწრო და ფართო მნიშვნელობით. XI საუკუნიდან *ერი ნათესავთან* ერთად ცდილობს მთელი საქართველოს მოსახლეობა მოიცვას. გვიან შუა საუკუნეებში *ნათესავმა* უფრო ვიწრო სისხლისმიერი ერთობის გამოხატვის ფუნქცია იკისრა, მაგ., ათთა ბერთა მატვილობაში ვხვდებით, რომ მემნა და ბოცო იყვნენ: „ნათესავით ბოცოსძენი“ (გაბიძაშვილი, ქავთარია 1980: 252); გვიან შუა საუკუნეებში უფრო მეტად იკვეთება ტენდენცია, რომ *ერი* მოიაზრებს ქართულ კულტურულ ერთობას, სადაც საერთო წარმომავლობა არ გამოირიცხება, თუმცა არ არის გადამწყვეტი. ქართველად შეიძლება იწოდოს ის, ვინც ქართული კულტურის თანაზიარია. ერთობის კულტურა აღქმადია, და თანაც ცვალებადი. *ერისა* და *ნათესავის* მნიშვნელობის ცვლილებაც შიდა სოციალური ბმების ცვლილებაზე მეტყველებს.

ეთნოტერმინების ინტენსივობის და შინაარსის ცვლილებასთან ერთად, იცვლება ეთნიკურობის მახასიათებელების როლი. თუკი საუკუნეების განმავლობაში რელიგია განსაზღვრავდა ქართულ იდენტობას, XI საუკუნიდან ეს ნიშა ქართულმა ენამ დაიკავა, რომელიც საკმაოდ საკრალიზებულია აღნიშნული პერიოდის ქართულ ჰაგიოგრაფიულ და ტრადიციულ საისტორიო წყაროებში. შეიძლება ითქვას რომ, XI საუკუნის ქართულ წყაროებში იქმნება ქართული ენის განვითარების ისტორიის მოდელი, ქართული დამწერლობის გაჩენიდან (რომელიც აგრეთვე პოლიტიკური ერთეულის - ქართლის სამეფოს შექმნას უკავშირდება) ენის სტანდარტიზაციამდე რაც ქმნიდა და თანაც განამტკიცებდა სახელმწიფოებრიობის განცდას. ეთნიკურად და რელიგიურად არამსგავსი ხალხის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემოსვლის შემდეგ, ენა ყველაზე მეტად ითვისებდა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოს. ენა გახდა ერთობის წევრობისთვის აუცილებელი ატრიბუტი, თუმცა ეროვნული მობილიზაციის პერიოდში, ეროვნულ მახასიათებლებს შორის, ენა მეორე პოზიციას იკავებს. ამ დროს, მთავარი აქცენტი, კი საერთო წინაპარზე და მამულზე არის გადატანილი. რაც შეეხება რელიგიას, იგი მუდმივად რჩებოდა ერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ელემენტად, თუმცა XVIII საუკუნის ტექსტებში რელიგიურ მახასიათებელს ახალი აქცენტით ვხვდებით თანადროულ წყაროებში. ეს ქართული ერთობის მხოლოდ კულტურული განმასხვავებელი ელემენტი როდია, რელიგია ისეთი ნიშაა, რომელიც წინაპართა დანატოვარია. წინაპარი და რელიგია ურთიერთგადაჯაჭვული ცნებები ხდება. წმ. ბიძინა, წმ. შალვა და წმ. ელიზბარი ასე პასუხობენ შაჰ-აბასს რელიგიის შეცვლაზე:

„ჩუენ სიყრმითგან შეგჳწყნარებიეს ჩუენ შორის შეჭმარიტებაჲ უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, მოცემული ჩუენდა წინაპრად მამეულად და გურწამს ერთისა ღმრთისა მიმართ“ (გაბიძაშვილი, ქავთარია 1980: 181).

ერთობის თვითიდენტიფიცირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსულთან კავშირს, რასაც ტექსტებში საერთო მამულისა და წინაპარზე აქცენტირებით ვხვდებით. საერთო ისტორიურ მეხსიერების და წინაპარის მითის არსებობა განსაკუთრებით აქტიურდება ერთობის კონსოლიდაციის პროცესში. ამ უკანასკნელის გამოკვეთა განსაკუთრებული ინტენსივობით შეინიშნება საკვლევ წყაროებში, თუმცა განსხვავებული აქცენტებით.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ შედგენილ ტექსტებში საერთო წინაპრის დაფიქსირება შეუმჩნეველი არ დარჩენილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა გაკრვეული ნიუანსები შეიძლება გამოვკვეთოთ. შუა საუკუნეების ისტორიკოსები საერთო წიპანრის ხსოვნას საფლავებზე აქცენტირებით ახდენენ, რაც გარდა საკრალური სივრცის შექმნისა, დიდ როლს თამაშობდა შიდაჯგუფური შეკავშირების საკითხში. საფლავი წარმოადგენს კავშირს წარსულსა და თანამედროვეობას შორის. ეს კავშირი ტექსტებში მუდამ ცოცხალია საფლავის შემკობის სახით:

„მირიანის ლეგიტიმაციის საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფარნავაზის საფლავის შემკობამ. მეფე ფარნავაზმა: დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 65).

წინაპრის საფლავის გვერდით დაკრძალვის სურვილით:

ერისმთავარი მირის პოზიციაა დაიმარხოს მამა-პაპათა გვერდით: „ხოლო მირ დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ, და რქუა ძმას თჳსსა არჩილს: „მე ესერა წარვალ, ძმაო, მამათა ჩუენთა თანა, არამედ წარმეც და დამფალ საფლავსა მამათავე ჩუენთა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 240).

შუა საუკუნეების ტექსტებში, წინაპართა (XVII-XVIII საუკუნეებამდე შედგენილ წყაროებში, წინაპარი მამად იხსენიება) საფლავი საფიცარია: „მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 11).

საფლავი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს წინაპრის მანიფესტირებას. სწორედ ამ პერიოდის ტექსტებში იქმნება საერთო წინაპრის განცდა, რაც ლაიტმოტივად გასდევს შემდეგი პერიოდის წყაროებს. შუა საუკუნეების ავტორები უბრალოდ კი არ ქმნიან მამა-პაპათა კავშირებს, მას უფრო აძლიერებს ბიბლიურ პერსონაჟებთან კავშირი.

ლეონტი მროველი ქართველთა წარმომავლობას ბიბლიურ თარგამოსს უკავშირებს:

პირველად ვაჴსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკელთა, ჰერთა და ლეკთა, და მეგრელთა – ამათ თჳსთა – ერთი იყო მამაჲ, სახელით თარგამოსს“ (ქართლის ცხოვრება 2008: 25). *მატიანე ქართლისაჲ* ასე გვიხსნის ბაგრატიონთა ისტორიას: „ჯუანშერ შეირთო ცოლი, ნათესავი ბაგრატონიანთაჲ, ასული ადარნასესი“... (და იქვე გაგრძელება ს.ქ) ...არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტუელისანი, რომელი-იგი ჴორციელად მამად ღმრთისად იწოდება (ქართლის ცხოვრება 2008: 254).

სუმბატ დავითის ძე, ქართველთა, კონკრეტულად კი, ბაგრატიონთა წინაპრად ბიბლიური სოლომონის ძეებს მიიჩნევს:

„და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისაჲ და მამაჲ ბაგრატიონთაჲ. და ესე

ქართლისა ბაგრატონიანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისანი (ქართლის ცხოვრება 2008: 360)“.

XI საუკუნის შემდგომ, საერთო წინაპარზე მოჭარბებულად აქცენტირებული ტექსტები აღარ ჩანს, თუმცა ვითარება იცვლება XVII-XVIII საუკუნებში შედგენილ და რედაქტირებულ ტექსტებში. საქართველოს პოლიტიკური დეზინტეგრაციის პირობებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო შიდაჯგუფური კავშირების გამყარება, რომლის მგრძნობელობა რას უნდა გაეღვივებინა თუ არა საერთო წინაპრის ხსოვნას. ეს უკანასკნელი ეთნიკური ერთობის ყველაზე გამოკვეთილი მახასიათებელია XVII-XVIII საუკნეებში შედგენილ და რედაქტირებულ ტექსტებში. ამ შემთხვევაში, ყურადღებას ვამახვილებთ ვახუშტი ბატონიშვილის *აღწერა სამეფოსა საქართველოს* და მარტირიკაში გაერთიანებულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე, რომელთა ავტორები უფრო ავითარებენ საერთო წინაპრის განცდას. მაგ. ანტონ კათალიკოსი წმ. დავითისა და წმ. კონსტანტინეს წამებაში ხაზს უსვამს წმინდანის წარმომავლობასა და საერთო წინაპარზე:

„ვინა სათანადო არს ჩუენდა ნატურად წმინდანი მოწამენი ქრისტესნი მადლობად და ქებად და უფრორე ჩუენნი განთჳსებით, რომელნიცა იშუნეს მამეულად მამულთა შინა ჩუენსა და საშომან ადგილობითმან სამშობლოთა ადგილთა ჩუენმან ჰშუნა ჴორციელად და აღზარდნა და მშობელი მათნი იყუნეს წინაპარნი მამანი“ (გაბიძაშვილი, ქავთარია 1980: 158).

ანტონ კათანიკოსი და ვახუშტი ბატონიშვილი თავიანთ თხზულებებში იმეორებენ მათ ბიბლიურ პერსონაჟებთან კავშირს (XI საუკუნის შემდეგ ასე მასშტაბურად აღარ დაფიქსირებულა). ბესარიონ ორბელიშვილის წმ. ლუარსაბ მეფის წამებაში, ავტორი გიორგი მეათეზე წერს, რომ იყო „დავითიან-ბაგრატივანი“ (გაბიძაშვილი, ქავთარია 1980: 47). ასეთივე შენიშვნა აქვს ანტონ კათალიკოსს წმ. მეფის ღვაწლის შეფასებისას: „იყო უკუე დასასრულ აწინდელისა ავქსინობისა ჩუენისა ამისთჳს, რაითა არა დავიწყდენ საქმენი მისნი ჩუენ შორის, რომელიცა ნათესავობით დავითიან-ბაგრატოვანებდა“ (გაბიძაშვილი, ქავთარია 1980: 66).

საერთო წინაპარზე ამახვილებს ყურადღებას ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაშიც. იგი იმეორებს ლეონტი მროველისეულ ნარატივს. ქართველთა საერთო წარმომავლობის და წინაპრის მიმართ ყურადღების გამახვილების გარდა, ვახუშტი ბატონიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობა ანიჭებს ქართველთა თვითსახელწოდებას, რასაც ქართველთა ბიბლიური ფესვების მქონე ეთნარქს უკავშირებს:

„ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსაც წილად ხუდა ქუეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსთა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილჳდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა, რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა მისსა, ეწოდათ საქართველო“ (ქართლის ცხოვრება 1973: 39).

ვახუშტისათვის წინაპრების შესახებ ცოდნა, გარდა იმისა, რომ ერთობის წარსულთან კავშირის, ანუ მისი არსებობის საფუძვლის ისტორიული სიღრმის მოწმობაა, წარმოადგენს წინაპირობას აწმყოში კეთილდღეობისათვისაც. ისტორიული მეხსიერების უწყვეტობა განსაზღვრავს ერთობის არსებობას აწმყოსა და მომავალშიც. საკუთარი განსაკუთრებულობისა და ამის გამო საერთო ბედისწერის გარკვეულ ისტორიულ კანონზომიერებად წარმოდგენა, ერთობის სიმტკიცის გასაღებია (თარგამაძე 2019: 71).

ქართველთა თვითსახელწოდების ეთნარქთან დაკავშირება უფრო წმინდას და საკრალურს ხდიდა ქართველთა ეთნონიმს ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შემოთავაზებული ახსნა, როგორც ჩანს, წარმატებულად მოთავსდა ეროვნულ ნარატივში, რამდენადაც, დღესაც თანამოქალაქეების გარკვეული ნაწილი (სამეცნიერო საზოგადოებას არ ვგულისხმობ) იზიარებს თვითსახელწოდების შესახებ ვახუშტისეულ ინტერპრეტაციას. ქართველი ავტორები თავიანთი შრომებით არამხოლოდ აღწერდნენ ერთობის აღქმებს, არამედ ქმნიდნენ კიდეც ღირებულებათა სისტემას. რაც ქართველი ერის ცნობიერებაში ეტაპობრივად და ბუნებრივად თავსდებოდა.

საკვლევი პერიოდში წარსულის კონცეპტუალიზება რელიგიის, ენისა და საერთო წინაპრის ფორმირდებით ხდებოდა. სხვადასხვა პერიოდში შედგენილ ტექსტებში მათი დაფიქსირების ინტენსივობის დონე განსხვავებულია, რასაც ხელს უწყობდა პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ძვრები. ერთის წინ წამოწევა არ გულისხმობდა მეორეს მოშლას, თუმცა გარკვეული ძვრების მანიშნებელი იყო, რაც ქართველი ერის ისტორიაში, განსაკუთრებით ორ გარდამავალ ეტაპზე შეინიშნება. XI და XVIII საუკუნეები ემთხვევა ქართული ერთობის შიდაჯგუფური მობილიზაციის სხვადასხვა პერიოდს – პრემოდერნული ერიდან თანამედროვე ერამდე. სტატიაში მოყვანილი მსჯელობები სწორედ ამ თვალსაზრისს ამაგრებს.

ლიტერატურა:

Hutchinson J, Smith A.D (1996): Ethnicity, რედ. J. Hutchinson and A.D. Smith, Oxford, New Yourk, Oxford University Press.

Smith A.D (2000): The Nation in History, Historiographical Debates about Ethnicity and Nationalism, University Press of New England, Hanover.

აბულაძე ი. (1967): ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი მომზადდა ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით. მეცნიერება, (XI-XV სს.), თბილისი, წიგნი II.

გაბიძაშვილი ე., ქავთარია მ. (1980): ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ენრიკო გაბიძაშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. მეცნიერება, თბილისი, წ. VI.

თარგამაძე ზ. (2018): ქართველთა თვითცნობიერება, ისტორიული ასპექტები, XVIII საუკუნე, მერიდიანი, თბილისი.

სმითი ე.დ. (2004): ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი), არტანუჯი, თბილისი.

ქართლის ცხოვრება (1955): ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელგამი, თბილისი, ტ.I.

ქართლის ცხოვრება (1973): ქართლის ცხოვრება. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.საბჭოთა საქართველო, თბილისი, ტ. IV.

ქართლის ცხოვრება (2008): მთავარი რედ. რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მერიდიანი, არტანუჯი, თბილისი.

ჩხარტიშვილი მ. (2020): ქართული იდენტობის ეთნოსიმბოლისტური კვლევა, ჟურნალი ქართული წყაროთმცოდნეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, პრინტჯეო. ტ. XXII.

ჩხარტიშვილი მ. (2021): ჩხარტიშვილი. თანამედროვე ერი ღრმა ეთნიკური ფესვებით, ჟურნალი ქართული წყაროთმცოდნეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მერიდიანი.

Sopio Kadagishvili

TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Tbilisi, Georgia

Sopio.kadagishvili@tsu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2025.10.60

Some issues of medieval Georgian identity

Georgian nation is characterized by long-term continuity and stages of development in accordance with political, cultural, and social transformations. Such understanding of Georgian unity was rarely the subject of study in the historiography of the previous century, as ethnic identity in the Soviet Union was viewed in an essentially — as an unchanging and inherent phenomenon.

Modern approaches have given historians better tools to understand identity-related issues. The theoretical material available in current scholarly discourse presents the unity experience from a completely different perspective. In our case, we focus on subjective perceptions of Georgian unity, which significantly define its form and content, and even create a system of values.

From the perspective of identity, interesting findings have emerged through the study of medieval texts (such as *The Life of Kartli* and hagiographic works). In particular, the observation of ethnic terms allowed us to trace the development stages of internal social ties within the unity— from the period of Georgia's political unification to the late Middle Ages. The study also showed that over the centuries, the intensity and role of ethnic identity markers (language, religion, the myth of common ancestry etc.) changed in response to political and social challenges.

According to Georgian Medieval sources this presentation aims to show these changes through specific examples and conclusions.